ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 274
დეკემბრის 21, შაბათი 1902 წ.
1877

# ივერია

№ 274
დეკემბრის 21, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მღვდელი **ილია ზაქარიას ძე მგალობლიშვილი**, შვილნი მისნი: **გიორგი, ვერა** და **ბარბარე სოფრომ ზაქარიას ძე** და **ნინო თევდორეს** ასული **მგალობლიშვილები** შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა, პირველი ქალიშვილისას, მეორენი დისას, მესამე ძმისწულისას და მეოთხე მაზლის წულისას

## ნინოსას

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზედ, ავჭალის ქუჩა, № 19. გასვენება შაბათს, 21 დეკემბერს, დილის 9 საათზედ, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ, სადაც იქმნება წირვა და იქვე დაკრძალავენ.

# 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება** თუმანი. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში**:—ბერძენიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

**ბათუმში**: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**ფოთში**: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.

**ბაქოში**:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**ზესტაფონში** (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.

**საბუნჩაში**. პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## სამკერვალო
### ქალთა ტანსამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☞ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.** ☜

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჟევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

№ 24. ტელეფონი № 176.

**დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

## ქართული თეატრი

კვირას, 22 დეკემბერს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

**დაკლებულის ფასებით**

შუადღის 12 საათზედ

I

## რევიზორი

ომედია 5 მოქ. ნ. გოგოლისა, თარგ. ალ. ჭიჭინაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ოლ. ლეჟავა, . რიონელი, როსტომიანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, . აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. ათირიშვილი, რკინელი, ლეჟენტი, ხუციშვიი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ. ე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50-კდე, ამფიატრი 60 კ.-დან 1 მ.-დე, გალერეია 20 კ., ან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მარგარიტა გოტიე“, „ადრიენა ლეკუვრერ“, „მელანიას ოინები“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

**ევროპიელი ქალი**

## ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

## გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

21 დეკემბერს არტისტიულ საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

## საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალივკა (ვიოლონჩელისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროდეიმუტინი (მომღერალი), ქ-ნნი ბაბაევისა, ჩერქეზიშვილისა ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგად. კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა).

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართულ-ევროპიული ცეკვა

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

## ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

**კბილის ექიმი**

**ივანე პავლეს ძე**

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ხ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შაპკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-** (წლ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა**

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**ხ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**ქამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. გ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**ბრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

**ტფილისი, 21 დეკემბერი.**

ყველაზე სახიფათო მხარე „ცნობის ფურცლის“ ყოვლად უბედურის ფელეტონისა ის არის, რომ ავტორი აღვიარებს, ვითომც ჩვენ-შორის მოიპოვება არა ერთი და ორი, რომელიც მონატურია გადაგვარებისა და ამით, ციხეს შიგნიდგანვე სტეხს.

ასეთი ბრალდება უსაფუძვლოა, უსამართლოა, ტყუილია და ცილის წამებას უდრის. მართალია, ჩვენში ბლომად ვხედავთ გულგრილთა და დაუდევართა; მაგრამ თვით ის სულ-მდაბალნიც, რომელნიც პირად სიკეთის გულისათვის, საზიზღრად ღალატობენ თავის ეროვნებას, დარწმუნებულნი არიან, რომ გადაგვარებას მოჰყვება დაცემა, გადაშენება, გაქრობა ერისა.

თვითონ ის ცნობილი ადამიანი, რომელმაც ოცის წლის წინად დასწერა წიგნაკი რუსულად ჩვენის ერის გადაგვარების შესახებ, ვერ გაამართლებს სავსებით ფელეტონის ავტორის ბრალდებასა. თ. გ. მუხრანსკი როდი ამბობდა თავის წიგნაკში, რაც უფრო მალე ავიღებთ ხელსა ჩვენს ენასა და ლიტერატურაზე, მით უფრო მალე მივეწევით განახლებასა ð ბედნიერებასაო. პირ იქით იგი შუამდგომლობასაც კისრულობდა სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომ ქართულს ენას შერჩენოდა ჯეროვანი ადგილი სასწავლებლებში. წიგნაკის ავტორს სახეში ჰქონდა არა აწმდგომი, არამედ მერმისი, მომავალი. იგი ამტკიცებდა, რომ შორეულს მომავალში ქართული ენა წააგებს ბრძოლასა და თავის ადგილს დაუთმობს უფრო მრავალ რიცხოვანის ხალხის ენასაო.

თუმცა ეს ასე იყო, თუმცა მუხრანსკის აზრი მოკლებული იყო მეგობრის წერილის უდიერობას და მხოლოდ თეორეთიული მნიშვნელობა ჰქონდა; მაგრამ იგი მაინც დაჰგმო და შეაჩვენა ჩვენმა მწერლობამ, ინტელიგენციამ, თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ, მთელმა ქართველობამ. თვით მშვიდობიანი და მომთმენი მწყემსთ-მთავარი გაბრიელ ეპისკოპოზი აადელვა, შეაძრწუნა ამ უკუღმართობამ და მოაწერინა ავტორისათვის წერილი, რომელშიაც იგი აბრალებდა მას ულმობელობას, უდიერებას. ეს ღვაწლით შემოსილი სამღვდელო გვამი უმტკიცებდა უკუღმართის წიგნაკის ავტორს, რომ როგორც ქრისტეანობა უფალმა გაავრცელა ერთა შორის მხოლოდ დედაენის საშუალებით და ამ მიზნით სასწაულებრივ მიანიჭა მოციქულებს სხვა-და-სხვა ხალხის ენის ცოდნა,—ისე განათლება, ყოველი პროგრესიული მიმართულება ჩვენს ხალხში შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ქართულის ენის შეოხებითაო. ამის გამო ამ ენის შევიწროება, შესუსტება და გაქრობაო აუცილებლად დაჰბადებს ჩვენის ერის შეჩერებას, უკან-უკან წასვლას, გადაშენებას და მიწასთან გასწორებასაო.

ერთის სიტყვით, ჩვენმა სასიქადულო მღვდელთ-მთავარმა ქრისტეანულის შეხედულობის თანახმად გამოსთქვა სწორედ იგივე აზრი, რომელიც დიდმა პედაგოგმა რუსეთისამ უშინსკიმ პედაგოგიურ მოსაზრებით გამოხატა შემდეგის მოკლე ფრაზითა: «**Умеръ языкъ? умеръ и народъ**“ „მოკვდა ენა? მოკვდა ხალხიც“. და განა ქართველთა შორის შეიძლება მოიპოვებდეს იმისთანა მახინჯი სულით და გულით, რომ თავისი ღვიძლი ერის სიკვდილი უნდოდეს?

არა, ამისთანა ბრალს ვერ დავდებთ ვერც ერთს ქართველს, ვერც ერთს კერძო კაცსაც-კი. მით უმეტესს ვერ დავაბრალებთ ამას იმისთანა ქართულ კოლლექტიურს დაწესებულებას, როგორც არის რედაქცია „ცნობის ფურცლისა“. ვერ დავაბრალებთ ჯერ იმიტომ, რომ ეს იქმნება ჩვენის მხრივ ციხის დაზიანება შიგნიდგანვე, ჩადენა იმავე ცოდოსი, რომელშიაც მაცდურმა ეშმაკმა ჩააგდო ფელეტონის ავტორი. მეორედ, ხსენებულ რედაქციის მიერ უარყოფა ეროვნებისა იქნება უარყოფა თავისის თავისა, საკუთარის არსებობისა და აღორძინებისა, საკუთარის სანუგეშო მომავლისა, მტრობა თავის თავისა. ხოლო მკითხველმა კარგად უწყის, რომ ამ რედაქციას თავისი თავი ძალიან მადიანად უყვარს. ჩვენ ვაბრალებდით და ვაბრალებთ ამ რედაქციას სხვა რამეს, სახელდობ მიუტევებელს დაუდევრობას ამისთანა ძირითადის და მწვავე საკითხის შესახებ, როგორაც არის საგანი „მეგობრის წერილისა“. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით და ვართ, რომ რედაქციას დაბეჭდვამდე არ წაუკითხნია ეს უბედური წერილი, თორემ ფიცხლავ სანაგვე კალათში ამოაყოფინებდა თავსა, რადგანაც თავისივე ბედნიერი თვალით დაინახავდა, რომ აქ ირონია და სატირა-კი არ გამოდის, არამედ გათეთრება შავისა, ქადაგება დამღუპველის უკუღმართობისა..

## ტფილისი

✦ დღეს, 21 დეკემბერს, არტისტიულ საკონცერტო დარბაზში დანიშნულია კონცერტი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. „საზოგადოება“, როგორც ვიცით, კონცერტს ჩვეულებრივ დეკემბერიში ჰმართავს ხოლმე ყოველ-წლივ ð ხალხიც მუდამ ბლომად ესწრება. კონცერტის შემდეგ იმართება ცეკვა, რომელიც ნაშუაღამევის 2—3 საათამდე გასტანს ხოლმე. დამსწრე საზოგადოება გულითა და სულითა მხიარულობს. დღევანდელ კონცერტის პროგრამაც საინტერესოდ არის შედგენილი და უნდა ვიფიქროთ, რომ წელსაც კონცერტს ბლომად დაესწრება ხალხი და ისეთისავე სიამოვნებით გაა-

ტარებს დროს, როგორც წინა წლებში გაუტარებია.

◆ პოეტის ნეკრასოვის სახსოვრად 30 დეკემბერს დანიშნულია სამუსიკო და სალიტერატურო საღამო, რომელსაც ჰმართავს „ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოება“.

◆ დანამდვილებით ამბობენ, ვითომ ბაქოს ქალაქის თავი ბ-ნი ნოვიკოვი ინიშნებოდეს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორად, ახლად განსვენებულ ტიხეევის მაგივრად.

◆ ქალაქის ხმოსანთა კრებამ ლორის-მელიქოვის სახელობაზედ რუსეთის უნივერსიტეტებში არსებული სტიპენდია მიუსაჯა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს დიდზურაბოვს,

◆ მთელი ვერა გუშინ-წინ და გუშინ დიდს გაჭირვებაში იყო უწყლოობით, რადგან არც ერთს ონკანში წყალი აღარ გამოდიოდა. წყალი არ იყო აგრეთვე ვარდისუბნისა და წყნეთის ქუჩის ონკანებში. ვინ იცის, საღამოზედ გაჩნდა მაინც წყალი თუ არა. ასეთივე საქმე დაემართა ქალაქის ყველა სხვა უბანსაც. მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა დაწვრილებით არის განმარტებული ამავე ნომერში ცალკე წერილით “ტფილისი უწყლოდ“.

◆ დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ქალაქის საფინანსო კომისიის წევრთა კრება.

◆ დღეს დანიშნულია ქალაქის სკოლათა კომიტეტის წევრთა კრება.

◆ კავკასიის სამკურნალო მმართველობის განკარგულებით, სურამის მიდამოს, ჩუმათელეთის მახლობლად ექიმთა კომისსიამ ზაფხულში დაათვალიერა ადგილები, სადაც უნდა აგებულ იქმნას სულით ავადმყოფთათვის საცხოვრებელი; ამ ჟამად ექიმთა კომისსიას უკვე წარუდგინა სამკურნალო დეპარტამენტისათვის ვრცელი აღწერა ამ მიდამოებისა. ამბობენ, რომ სამკურნალო დეპარტამენტი თავის რწმუნებულს გამოჰგზავნის გაზაფხულზედ ამ ადგილების დასათვალიერებლადაო.

◆ მომავალ წლის იანვრის დამდეგს კრება ექმნებათ ტფილისის ვაჭართა საზოგადოების წევრთ. კრება აირჩევს ვაჭართა მამასახლისს და მსჯელობა ექმნება სავაჭრო სკოლის სამზრუნველოს არჩევის შესახებ.

◆ შობა ღამეს ყრუ-მუნჯთა სკოლაში ამავ სკოლის სამზრუნველო შობის ხეს გაუმართავს მოსწავლეთ.

◆ ორშაბათს, 23 დეკემბერს, სამეურნეო-სამრეწველო საჭიროებათა გამო კრება ექნება ტფილისის საგუბერნიო კომიტეტს. ამავე კომიტეტს კრება ექმნება 28 დეკემბერს. კრებანი გაიმართება საღამოს 8 საათზედ საგუბერნიო მმართველობის სადგომში.

◆ დუშეთის მაზრის რამდენსამე სოფელში გაჩენილა საქონლის ჭირი, რომელსაც დიდძალი ზარალი მოუტანია მცხოვრებთათვის. მთავრობა შეუდგა ღონისძიების მიღებას სენის წინააღმდეგ.

◆ როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობამ თავის კანცელარიაში მოსამსახურეთა დასასაჩუქრებლად დღესასწაულებში გადასდო 1,500 მ., ამ დღეებში გამოიანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ თითო კაცს თითქმის თვიური ჯამაგირი მოსდის საჩუქრად.

◆ ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტმა თავის წარმომადგენლად ა. ა. ალიხანოვი აირჩია, რომელიც 27 იანვარს ქუთაისში მარგანეცის მწარმოებელთა კრებას დაესწრება.

◆ დღეს, 21 დეკემბერს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ადმინისტრაცია სამუდამოდ გამორიცხავს სემინარიიდგან იმ შეგირდებს, რომლებიც პანსიონში შესანახ ფულს არ წარადგენენ დღევანდლამდე. როგორც ვიცით, მოსწავლენი ახლა დროებით არიან დათხოვნილნი. ფულის შეუტანლობისათვის დათხოვნილია 30-დე მოსწავლე.

◆ კვირას, 22 დეკემბერს, ვაჭრებს ნება აქვთ მაღაზიები ღია ჰქონდეთ, რადგან დღესასწაულები მოახლოვდა.

◆ მოკლე ხანში კრება ექმნებათ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთ. კრებაზედ წევრნი შეუდგებიან ბ-ნ ონანოვის მოხსენების არსებითად განხილვას. მოხსენება შეეხება ტფილისში გადამდებ ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მიღების საქმეს.

◆ ტფილისის კადეტთა კორპუსში ხუნაგი გაჩენილა. 13 შეგირდი გამხდარა ავად, სასწავლებლის ადმინისტრაციამ ღონისძიება მიიღო ავადმყოფობის წინააღმდეგ.

◆ გუშინწინ მოხდა ქალაქის ხმოსანთა კრება. კრებამ, სხვა საქმეთა შორის, განიხილა სოლოლაკის მთაში გვირაბის გაყვანის პროექტი. ზოგიერთმა ხმოსანმა სთქვა, რომ გვირაბის გამყვანთ ბ-ნ ხატისოვისა და ბრაილოვსკის პირობანი იქნებ ხელსაყრელიც იყოს ქალაქისთვის, მაგრამ საფათერაკოა, რადგანაც შეიძლება ამით ევნოს რამე აბანოს წყაროებსაო; ზოგიერთი ხმოსანი-ინჟინერები იმ აზრისანი იყვნენ, რომ, თუ მართლა უნდათ ან ხალხისა და ან ქალაქისთვის რაიმე სასახელო გააკეთონ, შეიძლება სოლოლაკის მთაზედ ფუნიკულერი იქმნას აყვანილი და ერთის მხრიდან მეორე მხარეს გადად-გადმოდიოდესო; ფუნიკულერის გაკეთება სახიფათო არ არის აბანოებისათვისაო; თუმცა მეცნიერებმა წარმოსთქვეს, რომ გვიარაბის გაყვანა ზიანს არ მოუტანს თბილ წყლებსაო, მაინც-და-მაინც ამისთანა დასკვნით ხელმძღვანელობა შეუძლებელიაო; ამასთანავე მოიყვანეს მაგალითი კისლავოდსკის, ნარზანისა. თუმცა მეცნიერებმა დაამტკიცეს მიწაში მუშაობა არაფერს ავნებსო, მაგრამ იმის მაგივრათ, რომ ძომატებოდა წყაროს, ამ მუშაობის გამო, ბევრად იკლო და სამკურნალო თვისებაც შეუმცირდა. ამასთანავე ხმა გაისმა, ვითომ ბრაილოვსკისა და ხატისოვს სოლოლაკის მთას იქით მამულები შეეძინოთ და ამ საქმეს მისთვის თაობენო. ამ მწვავე ბაასის გამოწვევამ ხმოსანთა კრება ვერა გარდაწყვეტილების გზას ვერ დააყენა და საგნის განხილვა შემდეგისათვის გადაიდო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების უფროსს მეთვალყურეს განზრახვა აქვს შეიტანოს დუქნების მეთვალყურე-კომისიის წევრთა კრებაზედ განცხადება, რომ ხორცს ფასი მოემატოს. დუქნების მეთვალყურის გამოანგარიშებით, ქალაქს ფუთი ხორცი უჯდება 3 მ. 50 კაპ. და ისყიდება 3 მ. 38 კაპ.; ზედამხედველის მიხედვით, ფუთი ხორცი უნდა გაიყიდოს არა ნაკლებ 3 მ. 65 კაპეიკისა.

◆ 14 დეკემბერს, ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით, მოხდა ქალაქის საფინანსო კომისიის წევრთა კრება. ამ კომისიის მდივნად, თანახმად წევრთა სურვილისა, მოწვეულ იქმნა ს. ქოლამშვილი. კრებას დაესწრნენ ახლად ამორჩეული წევრები ბ-ნნი ჯაბადარი, ყიფიანი, ევანგულოვი, სულხანოვი, თამამშევი, ტიგრანოვი, თულაშვილი და ფლორინსკი. საფინანსო კომისია შეუდგა მომავალ 1903 წლის შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვას. კომისიამ განიხილა შემოსავლის 11 მუხლი; თავმჯდომარემ ბ-ნმა ბაბოვმა განაცხადა, რომ, რადგანაც ამ ჟამად ქალაქში დამფასებლები მხოლოდ ორნი არიან, საქმეს ვერ ასდიანო და ამიტომ ბევრს ადგილას სტოვებენ მამულს დაუფასებლადაო. საჭიროა დამფასებლების რიცხვს ორი კაცი კიდევ მიემატოსო. მთელი ქალაქი გაიყოს ამ ოთხ კაცს შორის, ორნი მტკვრის გაღმა მხარეს იმუშავებენ, ორნიც გამოღმა მხარეს. კრებამ მიიღო ბაბოვის განცხადება და დაადგინა მათის ჯამაგირების შესახებ სჯა შემდეგ იქონიოს. მე-2, 3, 4, 7 და 9 შემოსავლის მუხლები მიიღეს ისე, როგორც ნაჩვენები ჰქონდა ქალაქის გამგეობასა.

შემოსავლის მეხუთე მუხლი კომისიამ გამოსცვალა და გამგეობის ნაჩვენებ შესავლის 37049 მან. მაგიერ, აღნიშნა 38,000 მ., იმ მოსაზრებით, რომ შარშან 5 დეკემბრისათვის, მართალია, ცხენის გარდასახადი კასაში 37049 მ. შესულა და წრეულ 5 დეკემბრისთვის-კი მოჰმატებია; ამის მიხედვით კომისიამ მემრიისთვის 38000 მანეთი შესავალი ივარაუდა ცხენის გარდასახადისა. კომისიამ შეამცირა ქუჩაში მაწანწალა ძაღლების გასაწყვეტი ხარჯი 1500 მანეთიდგან 1000 მანეთამდე; დანარჩენ მუხლებში კომისიას არაფერი შესამჩნევი ცვლილება არ შეუტანია.

◆ ხვალ, კვირას, კრება ექმნება დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა. კრება განსხვავებულად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

## შეცდომის გასწორება.

ამ დღეებში ყვირილიდგან მოწერილ კორესპონდენციაში შეცდომით არიან დასახელებულნი გამგეებად ვ. საყვარელიძე და ან. ჩიმაკაძისა; უნდა იყოს: კ. საყვარელიძე და ჩირგაძის ასული.

—

**ტფილისი უწყლოდ.** ამ ხუთის წლის წინად, ქალაქის გამგეობაში მსჯელობა ჰქონდათ, რომ უნდა გამოყვანილ იქმნას მეორე მილი წყლისაო; ქალაქის გამგეობა იმ ხანებშივე შეუდგა მეორე მილის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც გამგეობას აცნობა, რომ ეს მეორე წყლის მილი ქალაქს დაუჯდება 200000 მანეთიო; კომისიის მოხსენება წარედგინა ქალაქის საბჭოს; საბჭომ დაადგინა, ეს პროექტი გარდაეცათ განსახილველად ბ-ნ ენფიანჯიანცისათვის, რომელიც იმ ხანებში ქალაქის ინჟენერის თანამდებობას ასრულებდა. გავიდა დრო, ენფიანჯიანცმა არ წარადგინა ამ საგანზედ მოხსენება. როდესაც, ამ ორის წლის წინად, ბ-ნს ეფიანჯიანცს ირჩევდნენ ქალაქის გამგეობის წევრად, საბჭოს ხმოსანნი-ინჟენერები ბაბოვი და ს. მირზოევი შეეკითხნენ გამგეობას, რა ჰქმნა ბ-ნმა ენფიანჯიანცმა ამა და ამ პროექტის შესახებაო. ენფიანჯიანცმა პასუხად ისა სთქვა, რომ ის პროექტი მაგდენად საყურადღებოდ არ მიმაჩნია და არა ღირს სალაპარაკოდ, რადგანაც ელექტრონის და ტრამვაის პროექტებია წარმოდგენილი და იმათ განხილვას ვანდომებ თავისუფალ დროსაო. მაშინ ა. ს. ბაბოვმა საბჭოს კრებაზედ განაცხადა და ითხოვა, მისი სიტყვები ოქმში შეეტანათ; აი ეს სიტყვები: „ბ-ნი ეფინჯიანცი ამბობს, რომ მეორე წყლის მილის პროექტი ისე საყურადღებო არ არისო; მე-კი ამას ვიტყვი, რომ დადგება იმისთანა დრო და საათი, როდესაც მთელი ქალაქი უწლოდ დარჩებაო“.

სწორედ ამისთანა განსაცდელის დღე ქალაქისთვის გუშინ იყო; ავჭალასა და ტფილისს შუა გამსქდარიყო უმთავრესი მილი და მთელი ქალაქი უწყლოდ დარჩა; წარმოსადგენადაც-კი ძნელია უწყლოდ დარჩენა იმისთანა ქალაქისა, რომელსაც ყოველ დღე ნახევარ მილიონი ვედრო წყალი არ ჰყოფნის; ამ დღეს თეატრებში წარმოდგენის გამართვის ნებას არ აძლევდნენ, სახლებში მეზობელი მეზობლისაგან წყალსა ჰყიდულობდა. ქალაქის გამგეობაში ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ხმოსან-ინჟინერთ დაიწყეს ლაპარაკი, შეეკითხნენ გამგეობას უკვე შემუშავებულ წყლის მილის პროექტის შესახებ.

# ჩვენებური ამბები

**ახალ-სენაკი:** 17 ამ თვეს, სოფ. ნატოჩაოს (სენაკის მაზრა) წმინდა გიორგის ეკკლესია გაქურდეს ვიღაც პოროტ-მოქმედებმა. წაეღოთ რაც-კი საეკკლესიო ვერცხლის სამკაული მოიპოვებოდა. თითქმის 300 მანეთის ვერცხლეულობაა წაღებული. ყულაბაც გაეტეხათ და იქიდგან რამდენიმე მანეთი წაეღოთ. ამ ბოლოს დროს აქეთ ეკკლესიების ტეხვა გავრცელდა.

ტელეფონი.

—

**სუჯუნა** (სენაკის მაზრა). ეს სოფელი არც სოფელსა ჰგავს, არც ქალაქსა. არის რამოდენიმე სამიკიტნოები და რამოდენიმე მეწვრილმანე ურიის დუქანი. ეს ქალაქი ძველად განთქმული იყო, როგორც პირველი სავაჭრო ქალაქი მთელ საქყოინდოში. მაგრამ რკინის გზის გაყვანის შემდეგ, რომელიც სუჯუნას ასცდა, ყოველივე თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა სუჯუნამ. მოვაჭრეები აქედგან რკინის გზის სადგურისკენ გადასახლდნენ. ამ გარემოებამ ბოლო მოუღო სუჯუნას. აქ არის შესანიშნავი უძველესი წმ. გიორგის საყდარი. სუჯუნას აქვს სამკითხველო, თუმცა აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობაში. არის სამინისტრო ორკლასიანი სასწავლებელი და ერთიც საქალებო სასწავლებელი. ყველა ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ ურიებმა ითავეს ახალი სასწავლებლის დაარსება.

ჯგიბუ-ჯგაბუ

—

**ტობანიერი.** დეკემბრის 12-ს აქაურ ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში ზედამხედველ-მასწავლებელმა მოახდინა კრება, რომელსაც დაესწრნენ მასწავლებლები, სასწავლებლის მზრუნველი, მამასახლისი და საზოგადოების დეპუტატნი. ზედამხედველმა წაუკითხა კრებას სასწავლებლის შემოსავალ-გასავალი, დაწყებული პირველ სეკდემბრიდგან 1901 წლისა 1903 წლის პირველ იანვრამდე. როგორც აღმოჩნდა დავთრებიდგან სასწავლებლის შესანახად შემოსულა ამ 16 თვის განმავლობაში სულ 1683 მანეთი, იმ ფულებიანად, რომელიც მამასახლის შეაქვს ხაზინაში ყოველ წელს (540 მან.) აქედგან მასწავლებლის ჯამაგირად, შეშა-განათების, მსახურის, კანცელარიის და სხვა ხარჯებს მონდომებია 1638 მანეთი, დარჩა 45 მანეთი სასწავლებლის ფული, რომელიც შენახულია ხაზინაში. შემდეგ აქაურმა მასწავლებელმა ლ. გეგუჩაძემ წინადადება მისცა კრებას, რადგანაც სამეურნეო განყოფილებისათვის მის მიერ შემოწირული ერთი ქცევა ადგილი იმყოფება სასწავლებლიდგან ერთი ვერსის სიშორეზედ და იქ მოსწავლეების მუშაობა მოუხერხებელია, ამისათვის იშოვნონ მახლობლად სკოლის ადგილი. ამაზედ კრებამ უპასუხა, რომ ჯერჯერობით დაუმტკიცოს კანონიერად სასწავლებელს ადგილი და შემდეგ ეცდებიან სამაგიეროს გაცვლას, ან გაყიდვას და სხვა ადგილის ყიდვას. საუბედუროდ, ახლო-მახლო თავისუფალი ადგილი არც გასაცვლელი, არც გასაყიდი, არსად სჩანს. შემოწირული ადგილი, რასაკვირველია, ჯერ მეპატრონეს ხელშია. ამის გამო დეპუტატებმა მოსთხოვეს მასწავლებელს ლ. გეგუჩაძეს ორი წლის ადგილის შემოსავალი 20 მანეთი; ამაზედ შემომწირველმა უარი განუცხადა და მოახსენა დეპუტატებს: „მე ადგილი იმისთვის არ შემიწირავს, რომ ისევ მე დავისაჯო და კიდევ წლიურად ლალა ვიხადოვო“.

ვლადო ბზვანელი.

—

**ყვირილა.** ამა დეკემბრის 18-ს, ოთხშაბათს, შორაპნის მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია ყვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობისა და აღნიშნულ თეატრის შენობის ამგებ მოიჯარადრის ბ-ნ სილიბონ ცერცვაძის შორის ამტყდარი სადავო საქმე.

ყვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობამ მისცა შენობის აგების საქმე იჯარით ბ-ნ სილიბონ ცერცვაძეს, რომელსაც, თანახმად პირობისა, უთუოდ მაზეზ გარეშე უნდა დაესრულებინა შენობა 25 ოქტომბრამდის, მაგრამ, სამწუხაროდ, სანამ სილიბონ ცერცვაძე დაასრულებდა შენობას, ცუდად ნაშენობისას გამო, რამდენიმე ადგილას გაირღვა და საჭიროდ შეიქმნა მისი ხელახლად გადაკეთება. მოიჯარადრემ უარი განაცხადა და საქმე სასამართლოს გადაეცა. სამართალმა გაარჩია ეს საქმე 18-ს დეკემბერს და დაადგინა: გადახდეს სილიბონ ცერცვაძეს გამგეობის სასარგებლოდ ჯარიმა 800 მან.

ზესტაფონელი.

—

**სვირი** (ქუთ. მაზ.) 15-ს დეკემბერს იყო დანიშნული საქარის ამერიკული ვაზის სანერგიდგან ვაზის გაყიდვა. ვაზის მყიდველებს ბილეთებით უშვებენ სანერგეში. შარშან ამისთანა ბილეთების დარიგება თითქმის შუადამიდგან დაიწყო; მაშინ ვინც ადრე მივიდა, და ბილეთი მოიპოვა, იმან ადრე მიიღო ვაზი და ადრე უშველა თავს. წელსაც ხალხი ადრე მოაწყდა სკოლას (სანერგეს).

14-ს დეკემბერს, საღამოს, ზესტაფონი, რომლიდგანაც აღნიშნულ სკოლა დაცილებულია ორი ვერსით, გავსილი იყო ახლად-ჩამოსული ხალხით. ნაშუადამევის სამ საათზე სკოლის ჭიშკრებთან უკვე სამასამდე მუშამ მოიყარა თავი და გათენებამდის ხალხმა ძლიერ იმატა, 1,500 კაცამდე მივიდა. ცხადი იყო ყველასათვის, რომ სკოლის დამზადებული ვაზის ნამყენი და ღერწი ამათ წამლად თუ გახვდებოდათ. 8 საათზე მობრძანდა ზესტაფონიდგან დაბარებული ბოქაული რამდენიმე მცველებით, რომელთაც უნდა დაეცვათ წეს-რიგი. დაიწყეს ბილეთების დარიგება; შეიქმნა საშინელი აღიაქოთი, კაცი კაცს თავზე ახტებოდა, უნდოდა მალე მიეღო ბილეთი. გამობრძანდა სკოლის უფროსი ბ-ნი სტაროსელსკი და მიჰმართა ხალხს თხოვნით დაწყნარებულიყო. ამის შემდეგ ხალხი ცალკ-ცალკე მაზრებად გაიყო და ნერგი მიჰყიდეს რიგ-რიგისად სენაკის მაზრელებს, შერე ოზურგეთისას, რაჭისას, ქუთაისისას და შორაპნისას.

# ფელეტონი

## დევეტის წიგნი.

(რუსულით)

(დასასრული*)

დევეტი დარწმუნებით ამბობს, ბურები გაუძლებდნენ მოსეულს მტერსა, რომ მოღალატეთ და „ეროვნულ ჯაშუშთ“ არ დაეღუპეთო. როდესაც ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ დაჰხებდა მტერს გენერალი პრინსლოო, მის გულის წყრომას საზღვარი აღარა აქვს,—საოცრად ჰკიცხავს თავის თანამემამულეთ; განსაკუთრებით პრინსლოოს საქციელი აბრაზებს დევეტს. „სამი ათას მხედრის უომრად მტრის ხელში ჩაგდება—ყელის გაჭრაა მთავრობისა, მთელის ერისა, დაღუპვაა მთელის ქვეყნისა. უბრალო ჯარის-კაც ბურგერებსაც არ შეუძლიათ თავი იმართლონ, თუმცა იგინი თავის უფროსთა ბრძანებას ასრულებდნენო“.

ამასობაში ინგლისელებიც მიხვდნენ, თუ რა ძალას წარმოადგენდა დევეტი. ათიათასობით დაჰგზავნეს ჯარები შეუპოვარ გენერლის შესაპყრობად. რა მახეებს არ უგებდნენ, როგორ ადგილებში არ მიიმწყვდიეს, ყოველ წამს ლამობდნენ მის შეპყრობას და, ხშირად წინასწარ გაზეიადებულ დეპეშებსაც-კი ჰგზავნიდნენ ინგლისს,—მოჩვენება გენერალი ჩვენს ხელთ არისო; მაგრამ დევეტი მაინც თავისებურად დათარეშობდა.

„გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავვარდი. 40,000 ჯარის კაცი და 6 გენერალი სულ იმის ცდაში იყო, რომ მე და რესპუბლიკის მთავრობა როგორმე ხელში ჩავეგდეთ. მე-კი მხოლოდ 2,500 კაცი მყავდა“. დევეტი გადვიდა ტრანსვაალის რესპუბლიკაში, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა უკანვე 250 კაცით. მტერმა გზა შეუკრა ყოველის მხრით და მაღალის მთების ხეობაში მიიმწყვდია. რადგან მას უკან ციცაბო კლდე იყო აღმართული, ინგლისელები დაიმედებულნი იყვნენ,—ეხლა მაინც ვერსად-ღა წაგვივა მოჩვენება გენერალიო. ამის გამო დეპეშაც-კი აფრინეს ლონდონს. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ცუდს გუნებაზედ დადგებოდა ის 6 გენერალი, როცა მეორე დილით გაიგეს,—დევეტი ხელიდგან გაგვისხლტაო. აი, როგორ მოგვითხრობს დევეტი ამ ამბავს.

„მე გადავსწყვიტე მაღალის მთაზედ გადასვლა, თუმცა, არამც თუ გზა, უბრალო ბილიკიც-კი არსად მოიძებნებოდა. იქვე მახლობლად თვალი მოვკარ კაფრის ქოხსა; საჩქაროდ მივედ და მასპინძელს შევეხმაურე. გარედ გამოვიდა კაფრი, რომელსაც მაღალის მთაზე მივუთითე და ვკითხე:

— შეუძლია, თუ არა, კაცს ამ მთაზე ასვლა?

— არა, ბაას (ბატონო), შენ მაგას ვერ შესძლებო,—მომიგო კაფრმა.

— ოდესმე გადასულა ვინმე ამ მთაზედ, თუ არა?

— დიაღ, ბაას, დიდი ხანია მას აქეთ, რაც ერთი კაფრი ავიდა მაგ მთაზე.

— ერთი მითხარ, პავიანები**) ახერხებენ, თუ არა, მაგ მთაზე ასვლას.

— დიაღ, ბაას, პავიანებს შეუძლიათ აფორთხება, მაგრამ ადამიანს-კი არა.

— აბა, მომყევით, ბურგერებო!—შევსძახე ამხანაგებს,—ეს ერთად-ერთი საღსარია, რომ თავს ვუშველოთ. თუ პავიანებს შეუძლიათ, რატომ ჩვენ ვერ შევსძლებთ ასვლას!

ჩემთან იყო ერთი ადრიან მატისენი, რომელსაც ოხუნჯობა უყვარდა. როდესაც თვალი შეავლო კედელივით აღმართულ 2,000 მწყრთაზედ უმაღლეს მთას, ამოიხვნეშა და სთქვა:

— აი, მეწამული ზღვაო!

— ისრაელის შვილთ სასოება ჰქონდათ და ზღვას გავიდნენ—მივუგე მე. ეს მეწამული ზღვა პირველი და უკანასკნელი ხომ არაა ჩვენთვის.

ბურგერემა იწყეს მთაზედ ფორთხვით ასვლა. ცხენ-და-ცხენ სიარული ხომ წარმოუდგენელი იყო. ბურგერებს თავიანთ ცხენების სადავე კბილით ეჭირათ და ისე მიცოცავდნენ კლდეზე“.

როდესაც დევეტი მეორედ შეიჭრა კაპის ახალშენში, ცოტა გასწყდა, კინაღამ სრულიად დაეღუპა მისი პატარა რაზმი. ორანჟეს მდინარე მოდიდებულიყო. დევეტის რაზმს გარს მტერი ერტყა და აზვირთებულ მდინარის პირად იყო მიმწყვდეული. ფონის ძებნამ ამაოდ ჩაიარა. ამასობაში ინგლისელთა ურიცხვი ჯარი ფეხ-და-ფეხ მოსდევდა. ინგლისელები იმდენად დაიმედებულნი იყვნენ დევეტის შეპყრობაზედ, რომ თვით კიჩენერმა საჩქაროდ გაუგზავნა დეპეშა სამხედრო მინისტრს,—დევეტი ველარ წაგვივაო. მაგრამ დევეტმა მაინც იპოვა ფონი მეხუთმეტე დღეს.

„როდესაც მდინარესთან მივედით, რამდენსამე ბურგერს ვუბრძანე,—ტანთ გაიხადეთ და ფონი მოძებნეთ-მეთქი. შეაგდეს, თუ არა, ცხენები მდინარეში, წყალი იმ წამსვე უნაგრამდე შემოადგათ. მაშინ ვუბრძანე, რომ ცურვით წასულიყვნენ, მაგრამ ჩემდა განსაცვიფრებლად და გასახარებლად, რაც უფრო წინ მიდიოდნენ ცხენოსნები, წყალი თანდათან უფრო პატარა აღმოჩნდა და, რამდენისამე წუთის შემდეგ, მუხლამდე ძლივსღა სწვდებოდა ცხენებს. ხელად ყველამ შევსტოპეთ წყალში და მთელი მდინარე დაჰფარეს ცხენოსნებმა. არა, გამოუთქმელია ჩვენი აღტაცება. მდინარის დუდუნს შეუერთა ნეტარებითა და სასოებით აღსავსე გალობა ფსალმუნებისა. აქა-იქ გაისმოდა ძახილი: „გამხნევდით, ბურებო“! „გაუმარჯოს ორანჟეს რესპუბლიკას“! „ადიდეთ უფალი სასიხარულო საგალობელითაო“! ð სხ.

კაპის ახალშენში საშინელი გაჭირვება გამოვცადეთ; ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს გაოცებით: „განა შესაძლებელია, რომ კაცმა აიტანოს, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა“? რადგან დრო არა გვქონდა, რომ ჩვენის თავისათვის ამის ანგარიში მიგვეცა, იქნება მკითხველმა სთქვას: „კმარა, მაინცა და მაინც არც ისე ცუდი ყოფილა თქვენი მდგომარეობაო“. ნება მომეცი, ძვირფასო მკითხველო, ყოველივე დაწვრილებით მოგითხრო. ინგლისმა თავს დაგვესხა ორ პაწაწა რესპუბლიკას ურიცხვი ჯარი. უძლიერესმა სახელმწიფომ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანა ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ჯარები, ავსტრალიის, ახალ-ზელანდიის, სამხრეთ-აფრიკისა და კანადის ვოლონტიორები; ეს არ გვაკმარა: მოგვისია შავ-კანიანები და, რაც ყველაზედ უარესი იყო ჩვენთვის, „ეროვნული ჯაშუშები“. გაიხსენე აგრეთვე, რომ ყველა ნავთ-სადგური შეგვიკრეს და არაფრის მოზიდვა არ შეგვეძლო. განა ცხადი არაა, რომ ჩვენ სასწაულით გადავრჩით? მიუხედავად იმისა, რომ ერთ ბურგერზე ასი მტერი მოდიოდა, შეიძლება კიდევ გაგვემარჯვნა, მაგრამ კაფრებმა და „ეროვნულ ჯაშუშებმა“ გაგვჭრეს ყელი,

---

*) იხ. „ივერია“ № 273.

**) პავიანი,—ერთ გვარი ჯიშია მაიმუნის, რომელიც ბლომად სცხოვრობს სამხრეთ-აფრიკასა და არაბეთში; პავიანებს კიდევ ძაღლ-თავა მაიმუნებს ეძახიან, რადგან მათი თავი უფრო ძაღლის თავს მოაგონებს კაცსა ... ვრე სხვა მაიმუნთა. მთარგ.

ორი კვირაა, რაც აქეთ თოვლ-ჭყაპია; 15 დეკემბერს, დილით აქეთ იყო ელვა და ქუხილი, რაიცა, მოხუცებულების სიტყვით, მომასწავებელია დიდის ზამთრისა. გზები დიდი ტალახის გამო შეიკრა. საპალნე (12 ფუთი) საუკეთესო სვირული ღვინისა ეკასობს 30 მანეთი და შარშან-კი ამ დროს ღირდა არა ნაკლებ 40 მანეთისა.

თორნიკე.

## თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან).

(შემდეგი *)

**თავმჯდომარე**. მოგეხსენებათ, რაოდენად ხელს უშლის მეურნეს მამულის გაფანტულობა. უკვე გამოითქვა ამაზედ აზრი, მაგრამ ბ-ნ ბეითალის მოსვლის გამო ბაასი შეწყვეტილი იყო და გადაწყვეტილება არა დაგვიდგენია-რა.

**თათუზოვი**. მამულის გაფანტულობის თავიდგან ასაშორებლად საჭიროა გაადვილებული იყოს გაცვლა მამულისა: ორის „კუპჩის" მაგიერ, ერთი იქმნას საკმარისად აღიარებულ.

**ზ. ყაზიძე**. ამასთანავე საჭიროა, სავალდებულოდ ჩაითვალოს მამულების გაცვლა, თუ-კი იგი დაეხმარება მამულის გაერთიანებას.

**დანდუროვი**. კარგად იცით, რომ ყოველივე ძალდატანება თავისთავად უსიამოვნოა და ჩვენ თითონვე ვითხოვთ ძალდატანება, სავალდებულო გაცვლა? არ მინდა გავცვალო ჩემი მიწა და, რა სამართალია, ძალა დამატანონ; არ გინდა, არ გესიამოვნება, მაგრამ მაინც უნდა გასცვალოთ. რომ რაიმე საზოგადო უბედურებას იწვევდეს ჩემი უარისყოფა, ან საზოგადო სიკეთეს გვპირდებოდეს ჩემი ძალდატანება, კიდევ ჰო, მაგრამ აქ არც ერთია, არც მეორე.

**სტაროსელსკი**. აქ იხსენიებენ საზოგადო კეთილდღეობას და პიროვნების უფლებას. ჯერ ერთი, რომ საზოგადო კეთილდღეობას წვრილმან და მცირე საქმეთა გაკეთებით მივაღწევთ, მეორე, რომ პიროვნების უფლების შეუზღუდველობა, თუ ბოლომდის დავიცავით, გამოვა, რომ ფულის დიდ სარგებლით გამსესხებელს ვერ ავუკრძალავთ, თუმცა ეს სასურველი არ არის. მართალია, არ უნდა შევეხოთ პიროვნების უფლებას, თუ ეს უფლება არ აბრკოლებს საზოგადო კეთილდღეობას; ხოლო, თუ საზოგადო კეთილდღეობას უშლის, უეჭველად უნდა შეიზღუდოს.

**ზ. ცისკარაშვილი**. სავალდებულო გაცვლა უარყოფილ იქმნას, როგორც დამარღვეველი მესაკუთრის უფლებისა. ეს უფლება საოჯახო ხასიათისაა; ამას არავინ არ უნდა შეეხოს.

**ი. ზარაფიშვილი**. ყველასაგან აღიარებული იყო, რომ მამულის გაფანტულობა მავნებელია, როგორც სამეურნეო კულტურის პროგრესისა, აგრეთვე მემამულეთა ინტერესებისათვის: არა ხერხდება არც თესლის შერჩევა, არც სხვა და-სხვა კულტურის ცდა, არც ერთისა და იმავე პირისაგან ხანგრძლივად მიწის შემუშავება, არც მიჯნების დაუშლელობა, არც ჯეჯილის მოუძოვლელობა და სხვ.—ყველა ეს-კი, სხვათა შორის ხელს უშლის მეურნეობის აღორძინებასა, მეურნეობის წინსვლასა კახეთში. მაშასადამე, მეურნეობის პატრიარქალური მდგომარეობა კახეთში საზოგადო უბედურებად უნდა ჩაითვალოს. თუ-კი კრება დათანხმდა სავალდებულო საყოველთაო სწავლაზედ, თუ-კი იკისრა საყოველთაო ვალდებულობა თავისის შვილების გამო, იმ მოსაზრებით, რომ ამას მოჰყვება საზოგადო კეთილდღეობათ, ნუ-თუ უფრო ადვილი არ არის, იასრით სავალდებულო გაცვლა, შესახებ აქა-იქ გაფანტულ მამულისა, თუ-კი საქმე ისე იქნება მოწყობილი, რომ ორისავე მხრის ინტერესი სრულიად იყოს დაცული?! ეს კი ადვილად შესაძლებელია სამედიატორო სამართლის წესით. ადგილობრივ ვითარების მცოდნეთაგან ორივე მხარე აირჩევს მედიატორებს და მიანდობს საქმეს. თუ კაპიტალისტები და მუშები, რომელთა შორის დიდი განსხვავებაა, რიგდებიან მედიატორეთა საშუალებით, ნუ-თუ ორი მემამულე, რომელთა შორის მრავალი მსგავსებაა, ვერ მორიგდებიან ამავე საშუალებით? ვითხოვთ, სავალდებულო იყოს გაცვლა მამულებისა სამედიატორო სამართლის წესით.

კრებამ მიიღო სავალდებულო გაცვლა.

**თავმჯდომარე**. გაკეთება და შენახვა ადგილობრივ და საზოგადო სასარგებლო გზებისა, ურთიერთ შორის დამოკიდებულება ამ საქმეში სახელმწიფოსი, სასოფლო საზოგადოებისა და კერძო მემამულეთა. ამ საკითხის შესახებ კანონმდებლობაში მოხსენებული არის, რა მონაწილეობას უნდა იღებდეს სახელმწიფო და კერძო მემამულე გზის გაკეთებაში.

თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას 290, 295 მუხლ. კანონმდებლობისა და დაუმატა, რომ ამავე საკითხთან შეერთებული უნდა იყოს ის, თუ რა დროს შეიძლება გამოწვევა ბეგრისა გზებზედ სამუშაოდ.

**ზ. სტაროსელსკი**. ამ გაზაფხულზედ გზების საკეთებლად გამორეკეს გლეხები სწორედ იმ დროს, როცა მისდგრად გაჩაღებული მუშაობა ჰქონდათ. ასე უდროვოდ მუშა კაცის მოცდენა მეურნეობას დიდათ ავნებს; ხან-და-ხან ორი-სამის დღით გაუვსნილ მუშას ეკარგება მთელი წლის ნამუშავარი. ამას უნდა ყურადღება მიექცეს.

ზოგნი ამბობენ, რომ ფულად შეიცვალოს ბეგარაო, ზოგნი თხოულობენ, რომ კერძო მემამულეთაც მიიღონ მონაწილეობა, რისაც წინააღმდეგნი არიან თავად-აზნაურთა ზოგიერთი წარმომადგენელნი

**ზ. მამინაიშვილი**. ამ რამდენისამე ხნის წინად გურიაშიაც სწორედ სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ გურულები გზებზედ მუშაობის გამო. დღეს ეს საქმე იქ გაწესრიგებულია ჩინებულად. გურულებმა გადასწყვიტეს, ყოველივე გზის გაყვანის და შეკეთების საქმე საჯარო ვაჭრობით გაეცათ. ახლა, სადაც გზაზედ სამუშაო რაიმე იქმნება, ინიშნება საჯარო ვაჭრობა ამ სამუშაოსი. ვინც აიღებს, ფულს მოუკრებენ გაწერით და ჩააბარებენ. აქაც ეს წესი, რომ შემოიღოთ, კარგი იქმნება.

ჩამოვარდა კამათი თავად-აზნაურთა და გაჭართა მონაწილეობაზედ და, დიდის ხნის კამათის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა: 1) ვითხოვთ, რომ განსაზღვრული იყოს დრო და სამუშაო; 2) შესახებ თავად-აზნაურთა და სხვა წოდებათა მონაწილეობისა, კრებამ სასურველად მიიჩნია, რომ ყველა წოდება იღებდეს მონაწილეობას; 3) ბეგრის ფულად გადახდევინების საქმე დარჩეს გადაუწყვეტლად რადგანაც გლეხთა წარმომადგენელნი აქ არ არიან.

თავმჯდომარემ ჩამოაგდო ლაპარაკი სახალხო მცირე კრედიტის გამო და გაეცნო მოკლედ მოხსენება ვერმიშევისა ამ საგნის შესახებ.

სტაროსელსკიმ ურჩია კრებას ამ საქმისთვის მიემატებინა ისიც, რომ გლეხთათვის კრედიტია საჭირო მიწის სასყიდლად და დაუმატა, რომ მიწა იმისთანა საგანია, რომლის სპეკულიაციას მოსდევს საზოგადო სამეურნეო ზარალი, რადგანაც მიწის სპეკულიატორს სრულებით არა აქვს აზრად წარმოების გაუკეთესება, მისი აზრია, რაც შეიძლება ბევრს გამორჩეს და ამისათვის იგი არა ფერს არ ერიდება. მიწა არ არის ისეთი სავაჭრო საქონელი, რომელიც ჩაითვლებოდეს შრომის ნაყოფად. მიწა იმისთანა საგანია, რომელიც ნებით თუ ძალით უნდა განთავისუფლებულ იქმნას სპეკულიატორთაგან. მიწა მუშა-კაცს უნდა ეკავოს. ამაში სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მუშას, მიწის შესაძენად მისცეს კრედიტი. კრებამ გადასწყვიტა: 1) ვითხოვთ, გლეხთ მიწის სასყიდლად კრედიტი ეძლეოდეთ, რაც შეიძლება მარტივის სახით. 2) სახალხო მცირე კრედიტი დამყარდეს თვით მოქმედების პრინციპზედ და ფულით შემწეობა აღმოუჩინოს ხაზინამ.

ნადიკვრელი.

(შემდეგი იქნება)

# რუსეთი

— 14 დეკემბერს პეტერბურგში, მიწად-მოქმედების მინისტრის ერმოლოვის თანადასწრებით, დაიწყო კრება სამეურნეო საცდელ საქმეთა მოსაწყობად. კრებამ დაადგინა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებთან დაარსებულ იქმნას ობსერვატორიის პუნქტები.

— როსტოვის (დონზე) ქალაქის საბჭოს დაუდგენია კვირა-უქმე დღეობით ვაჭრობა აღკრძალულ იქმნას, მაგრამ მთავრობას საბჭოს დადგენილება არ დაუმტკიცებია. საბჭომ შესცვალა პირველი დადგენილება და დააწესა ახალი: სავაჭრო დუქნები კვირა-უქმე დღეს ღია იყოს მხოლოდ დილის 5 საათიდგან 6 საათამდე. ახირებულია მთავრობის მოქმედება, როცა საბჭოს დადგენილებას არ ამტკიცებს, მაგრამ არა ნაკლებ უცნაურია ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილებაც.

— 1903 წლის შემოდგომაზედ შესრულდება 25 წელიწადი ქალთა უმაღლეს კურსების დაარსებიდან. ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტი აპირებს ამ დღის სახსოვრად გამოსცეს საიუბილეო კრებული სამეცნიერო სალიტერატურო შინარსისა.

— „პენზის საეპარქიო უწყებათა" დამატებაში შემდეგი სავალდებულო წესებია სემინარიის მოსწავლეთათვის დაბეჭდილი:

1) მოსწავლემ თავის ამხანაგის არავითარი ცუდი მოქმედება არ უნდა დაუმალოს მთავრობას, თუ უკანასკნელი თხოულობს ამას მოსწავლესაგან.

19) სემინარიის უმაღლეს კლასის შეგირდები პატივისცემით უნდა ეპყრობოდენ ერთმანერთს, ხოლო დაბალ კლასების შაგირდებს —მოფერებით და დამშვიდებით.

27) საკითხავი წიგნები შეგირდებმა სემინარიის ბიბლიოთეკიდგან უნდა გაიტანონ; საჯარო, თუ კერძო ბიბლიოთკებში შესვლა, ან წიგნების გატანა, იქიდან სასტიკად აღკრძალულია.

29) მოსწავლენი წესიერად და პატიოსნად უნდა იქცეოდნენ საზოგადოებაში და კერძო ოჯახებშიო; თმა დავარცხნილი უნდა ჰქონდეთ, გრძელის თმის, წვერის, ულვაშის დაყენება და ბექდის გაკეთება აღძრულია: აღკრძალულია აგრეთვე ჯოხის ტარება და სხ.

— სახელმწიფო საბჭოში შეაქვთ პროექტი უმაღლეს და საბეითლო სამეურნეო სასწავლებელთა რეფორმის შესახებ.

— კოსტრამიდგან „Новое Время"-ს დეპეშით ატყობინებენ:

19 თებერვლის სახსოვრად საგუბერნიო საერობომ დაადგინა დააარსოს 12 სტიპენდია: 6 უმაღლესის და 6 საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე--გლეხებისათვის, პედაგოგიური კურსები, 100 სახალხო სკოლის სასწავლო ნივთები დაუთმოს და იშუამდგომლოს, რომ 19 თებერვალი დღესასწაულად დაიდოს.

— ნება-დართულია შემდეგ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა პეტერბურგში: ჟურნალ „Живописецъ" 2) „Зернышки", 3) ორ კვირეული „Европейская Библіотека", 4) „Изящное Чтеніе", 5) „Женскій Вѣстникъ", რედაქტორი ექიმი ქალი პოკროვსკისა, 6) ყოველ კვირეული „Театръ и Пьесы", 7) ყოველ-კვირეული „Страховыя Новости", 8) ძველ ებრაელთა ენაზედ—„Время", რომლის რედაქტორები კაცუ და იოფე არიან, 9) თვიური—„Дѣтскій Модный Свѣтъ", 10) „Православный Вѣстникъ",—რედაქტორი მღ. თუმანოვი.

მოსკოვში: 1) Извѣстія русскаго общества любителей фотографіи, 2) „Вся Россія", 3) Московскій квартирный и справочный Вѣстникъ, 4) „Архитектурные Мотивы".

# უცხოეთი

**პარიჟის უნივერსიტეტი** (საკუთარის კორესპონდენტისაგან).

პირველს წერილში მე ვამბობდი, თუ რა პირობით იღებენ სტუდენტად სორბონში, რა და რა საგნებს ასწავლიან იქ, და რა უფლებას იძლევა ეს უნივერსიტეტი. მაგრამ არაფერი მითქვამს იმის შესახებ, თუ რა გვარია სორბონში სწავლების სისტემა. აი, ამის შესახებ უნდა განვუზიარო მკითხველს ზოგიერთი ცნობა.

ყველა ლექციები სორბონში სამ ნაწილად იყოფა: ღია კურსები (cours ouverts), დახურული კურსები (cours fermés) და კონფერენსიები (conferences). პირველი ყველასათვისაა დაარსებული, ვინც-კი მოისურვებს; ლექციების მოსმენა სრულიად უფასოა; აქ შესვლის ნება ყველასა აქვს. ამისთვის ხშირად შეხვდებით აქ, ამ ლექციებზე, ისეთებს, რომლებიც მოსულან მხოლოდ მარტო დასასვენებლად, ან გასათბობად, ან ავდრისაგან თავის შესაფარებლად...

ამ კურსებზე სიარული, რა თქმა უნდა, არავითარ უფლებას არ იძლევა, თუმცა-კი მათ სათავეში პროფესორები სდგანან, და ხშირად გამოჩენილი, საუკეთესო პროფესორებიც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ აქ კითხულობს ლექციებს საფრანგეთის ახალ დროის ისტორიისას პროფ. ოლარი, რომელიც ერთი უპირველესი მცოდნეთაგანია საფრანგეთის რევოლიუციისა.

სორბონის ღია კურსები ძირიანად განსხვავდება რუსეთის უნივერსიტეტის ლექციებისაგან. რუსეთში პროგრამა ლექციებისა ერთხელ არის შედგენილი და წლიდან წლამდე (არც შემდეგ) არ იცვლება მათი შინაარსი. საფრანგეთის უნივერსიტეტში პროგრამა ყოველ წლობით იცვლება, თითქოს წლევანდელი ლექციები განგრძობა იყოს წარსულის წლისა. ამის ნათლად წარმოსადგენათ მოვიყვან ერთს მაგალითს.

როცა პროფ. ოლარმა ჩაიბარა სორბონში კათედრა, დაიწყო კითხვა საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიისა და წლის ბოლოს ლექციები შესწყვიტა, მეორე წელს ლექციების კითხვა თავიდან არ დაუწყვია, არამედ იქიდგან დაიწყო, სადაც გასულ წელს გაჩერდა. ამ გვარად რამდენისამე წლის განმავლობაში პროფ. ოლარმა დაასრულა ლექციები რევოლიუციისა და პირველ რესპუბლიკის ისტორიისა და შემდეგ გადავიდა პირველ იმპერიის ისტორიაზე.

ამ გვარად სრულდება ყველა კურსები, როგორც დახურული ისე ღია; ამიტომ არის რომ ისინი ძლიერ განსხვავდებიან რუსეთის უნივერსიტეტებში წაკითხულ ლექციებისაგან.

დახურულ კურსებისა და კონფერენციის მოსმენის ნება სტუდენტებსა აქვთ. დახურული კურსები, საზოგადოდ, ბევრში ჰგავს ღია კურსებს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პროფესორი, კითხულობს რა თავის გამოკვლევას, ამავე დროს უხსნის მსმენელთ, თუ რა და რა მეთოდით ხელმძღვანელობდა, როცა თავის ლექციებს ამზადებდა. ასე რომ, შეიძლება, ღია კურსებს თვით განმავითარებელი ვუწოდოთ; დახურული-კი საკუთარის, დამოუკიდებელის მუშაობისათვისაა დანიშნული.

კონფერენსიებზე პროფესორი სტუდენტების წინ იკვლევს საგნებს, გამოჰყავს სხვადა-სხვა დასკვნა. ყველაფერი ეს აშკარად და ცხადად ხდება; მაყურებელს თუ არ მოეწონა, ან შეიძლება რამ ვერ გაიგო, შენიშვნებს აძლევს, სთხოვს განმარტებას და სხ.

ხშირად კონფერენსიის პროფესორი ურიგებს თემას მსმენელთ. ისინი არდგენენ და სწერენ მიცემულს თემაზედ თხზულებას, რომელსაც ჰსინჯავს დ იხილავს კონფერენსია. გარდა ამისა დახურულს კურსებსა და კონფერენსიებზე იძლევიან იმ გვარ სამუშაოს, სადაც თავის საკუთარი ჰკუა, გონება და ენერგიაა საჭირო, მაგ., რომელიმე სალიტერატურო ტექსტის გარჩევა სალიტერატურო ფაკულტეტზე. მიცემულ სამუშაოს კარგად შესრულება სავალდებულო არ არის, აქ ყველაფერი სტუდენტის სრულს ნებაზეა დამოკიდებული, გინდ ეცდები კარგი გამოვიდეს შენი გამოკვლევა, გინდ არა. სავალდებულო სამუშაო არსებობს მხოლოდ პრაქტიკულის მეცადინეობის დროს.

როგორც წინანდელს წერილში იყო ნათქვამი, სალიტერატურო ფაკულტეტს 50 კათედრა შეადგენს. მათგან 5 ფილოსოფიისაა, ლიტერატურისა და ფილოლოგიისა—25, ისტორიულ მეცნიერებისა—14, არქეოლოგიისა, გეოგრაფიისა და პედაგოგიისა—6.

კვირაში 125 კურსი და კონფერენსიაა და 45-მდე ღია კურსები. რევოლიუციის ისტორიას კითხულობს ოლარი, ბერძნულს ფილოლოგიას—კრუაზე, ახალ ლიტერატურის ისტორიას—ფაგე, გალლთა ისტორიას—ჰიურო და სხ.

სორბონში არსებობს აგრეთვე რუსულ სიტყვიერების ისტორიის კათედრა, რომელიც პროფ. ომანის ხელმძღვანელობის ქვეშაა. ბ-ნმა ომანმა წაიკითხა ლექცია ტურგენევის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის შესახებ.

ვ. ხუდადოვი.

პარიჟი.
15 (28) დეკემბერი.

**იტალია.** გაზ. „Infom."-ის რომის კორესპონდენტი აღნიშნავს იმ ახალს მიმართულებას, რომელსაც იტალიის პოლიტიკა დაადგა ამ უკანასკნელ ხანებში.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იტალია ჯერ ინგლის-გერმანიის მიმხრო ვენესუელას საწინააღმდეგოდ,

---

*) იხ. „ივერია" 272

---

ჩვენ ვმოქმედობდით ისე, როგორც-კი შეეძლო ხორციელ ადამიანს".

დევეტი დაბრუნდა ორანჟეს რესპუბლიკაში. ამ დროს კიჩენერმა გაამართვია ბლოკჰაუზები. დევეტის აზრით, ეს საშუალება ვერაფერი სახეირო იყო. „ბლოკჰაუზების გამმა მრავალ ათას გირვანქა სტერლინგად დაუჯდა ინგლისის მთავრობასაო. კიდევ მეტი ხარჯი დასჭირდა, რომ ბლოკჰაუზების მოდარაჯე ჯარის კაცებისათვის იჯრა ეზიდათ. ამოდენა ხარჯებმა-კი სრულიად უქმად ჩაიარა. მე მოგითხრობთ, როგორ გავარღვიე ბლოკჰაუზები და მაშინ დარწმუნდებით, რომ ამ ღონისძიებამ მთელის სამის თვით გააჭიანურა ომი. ბურგერებს ბევრად უფრო აწუხებდა ღამ-ღამობით თავ-დასხმა მტრისა. ეს ოინიც „ეროვნულ ჯაშუშებმა" ასწავლეს ინგლისელებს.

ზავის ჩამოგდების წინა ხანებში დევეტმა ერთხელ კიდევ საოცრად დაამარცხა ინგლისის ჯარი ტყვეეფონტეინთან. ინგლისელები მაღალს მთაზედ იყვნენ საფარ-სანგრებში გამაგრებულნი. „ჩვენაო,—მოგვითხრობს დევეტი,—შეუმჩნევლად მივაღწიეთ იმ მთის კალთამდე და ფრთხილად შევუდექით მაღლა ასვლას. ეს იყო 1901 წ. დეკემბრის 25-ს, დილის 2 საათზედ. ნახევარი გზა-ღა დაგვრჩა გასავლელი, როდესაც მათმა გუშაგმა შეგვამჩნია და შემოგვეხმაურა:

— შესდეგ! ვინა ხარ?

გავარდა თოფი.

— ბურგერებო, ჰკათ მაგათა-მეთქი! შევსძახე მე.

— იერიშით, იერიშით!—დასცეს კიჟინა წყვდიადით გარემოცულ მიდამოში ბურგერებმა და გამალებით ეკვეთნენ მტერს, თუმცა ზუზუნით მოდიოდა ტყვია მტრის საფრებიდგან.

დედა-კაცთა და ბავშვთა უმწეო მდგომარეობამ აიძულა ბურები, რომ ზავის ჩამოგდება დაეჩქარებიათ. ავტორი სრულიად მიუდგომლად ლაპარაკობს ინგლისელთა შესახებ. პატივისცემით აღნიშნავს მათს სიმამაცეს, თეთრი ალამით მუხანათურად სარგებლობასაც-კი არ უთვლის დიდ დანაშაულად,—საპატიო მიზეზებსა ჰპოულობს,—მაგრამ მის გულის-წყრომას საზღვარი არა აქვს, როცა ინგლისელთა „დედა-კაცების წინააღმდეგ გალაშქრებას" მოგვითხრობს; ამ საარაკო ამბავისათვის ავტორს ცალკე თავი მოუნდომებია და სახელად დაურქმევია „ომი დედა-კაცთა წინააღმდეგ". დევეტი კიტჩენერს საზოგადოდ პატივისცემით იხსენიებს, მაგრამ რობერტსს-კი—რომელმაც შემოიღო ტყვეებისათვის განსაკუთრებული ბანაკები და ბურების სახლ-კარ-სარჩო-საბადებელს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა,—ზიზღითა და სიძულვილით. რობერტსს ტყვედ მიჰყავდა დედაკაცები, ბავშვები, ხნოვანებით თუ ავადმყოფობით დავრდომილნი, და დეპეშებსა ჰგზავნიდა ლონდონს—„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, ამდენი და ამდენი ბური ტყვედ ჩამივარდა ხელშიო". „არა-ერთხელ დაუშენიათ ზარბაზნები იმ ბანაკებისათვის, სადაც დედა-კაცთა, ბავშვთა და უძლურ-მოხუცთა გარეშე სხვა არავინ ყოფილა, და ეს მათ კარგად იცოდნენო—ამბობს დევეტი.—განა კაცი იფიქრებდა, რომ მეოცე საუკუნეში შესაძლო იქნებოდა ასეთ აღმაშფოთებელ სიმხეცის ჩადენა? სანამ ომი ასტყდებოდა, თუ გინდ თავი გაეგდებინათ ჩემთვის, მაინც არ დავიჯერებდი, რომ ინგლისელები ამ გვარ ღონისძიებას მიჰმართავდნენო—ამბობს დევეტი. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს იარაღის დაყრა და დამორჩილება, რათა ერი გაწყვეტისაგან გადაერჩინათ(დევეტს, ალბად, ისა აქვს სახეში, რომ დედები თავიანთ ათის წლის ბავშვებსაც-კი მხედართა რაზმებში ჰგზავნიდნენ, რადგან ჰშიშობდნენ, ვაი თუ ინგლისელებს ჩაუვარდნენ ხელში და ტყვეთა ბანაკებში მოჰყვნენო, მარტო სახელიც-კი ტყვეთა ბანაკისა თავზარსა სცემდა ბურებს). ფერეენინგში სამხედრო თათბირის დროს დევეტი დიდი წინააღმდეგი იყო დამორჩილებისა; ის ამტკიცებდა, ბურგერებს ჯერ კიდევ შესწევთ იმდენი ძალა, რომ მტერს ებრძოლონ და მოსვენება არ მისცენო; მაგრამ დასასრულ იგიც დაიჯერეს ამხანაგებმა,—ამაოა ბრძოლის განგრძობაო, და იგიც დასთანხმდა ზავსა. „ეს სალამო იყო, რომელსაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერაოდეს ვერ დაივიწყებსო"—დასძენს ნაღვლიანად დევეტი.

— რამდენისამე წამის განმავლობაში აღსრულდა ის, რის გადაკეთებას მთელი საუკუნოებიც ვერ შესძლებს. ყველას, ვინც-კი ხელი მოაწერა ზავის პირობას, კარგად ესმის თავისი წმინდა მოვალეობა--ხელუხლებლად დაცვა თავისს სიტყვისაო". დასასრულ დევეტი აცხადებს, ინგლისის ერთგული ქვეშევრდომი ვიქნები, და ბურგერებსაც ამასვე ვურჩევ, მხოლოდ ახალშენებს დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს ინგლისის მფარველობის ქვეშეო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა დევეტის თხზულებამ საზოგადოებაზედ. მხოლოდ ნამდვილ თავისუფალ ერს შეუძლიან არამც თუ წაიკითხოს დევეტის წიგნი, არამედ აღტაცებაშიაც მოვიდეს რესპუბლიკის გამბედავ დამცველის პიროვნებით. სწორედ ასეთი სიდარბაისლე და ქველობა გამოიჩინა, მისდა სასახელოდ, ინგლისის საზოგადოებამ. „სამის წლის ომ"-ს დიდის აღფრთოვანებით მიეგებნენ ინგლისელნი. ინგლისის გაზეთებმა ისეთი გრძნობით აღსავსე მეთაურები უძღვნა დევეტის თხზულებას, ისეთი ქება-ხოტბა შეასხა გმირთა-გმირ ავტორს, რომ სხვა ხალხი თავისს საკუთარ გმირსაც ვერ მოიხსენიებდა ასეთის პატივითა და დიდებით. მაგალითად, ერთი გაზეთი სწერს: „დევეტი სასოებასა და აღტაცებას უნერგავს კაცს გულში. იგი—სრულიად ახალი ტიპია კაცისა. მისი სხეული ტინის კლდეს დაედარება, სახე, თითქოს, ფილაქნისაგანაა გამოქანდაკებულიო"

მეორე გაზეთი სწერს: „როდესაც დევეტის თხზულებას ვკითხულობდით, ვსწუხდით, რომ ეს გმირი წარმოშობა არა ინგლისის ერმა, მაგრამ ყველაზედ უფრო იმასა ვსწუხვართ, რომ ასეთი კაცი არა ერთხელ ჰკიცხავს ინგლისსა და, საუბედუროდ, სამართლიანადაც". —„კაცობრიობის ისტორიაში, ლეონიდის შემდეგ, არ ყოფილა არც ერთი მაგალითი ისეთის გმირობისა, როგორც დევეტის 250 ბურგერით კაპის ახალშენში შეჭრაო". —„მაღალის მთებზედ გადასვლა ისეთი უებრო სიმამაცეა, რომელიც საუკეთესო ტემა იქმნებოდა ახალის ჰომეროსისათვისაო".

რაიცა შეეხება ირლანდიის გაზეთობას, იქ ხომ უსაზღვრო ქება-დიდებაა ქრისტიან დევეტისა და მის თხზულებისა. თურმე, ირლანდიელ მდაბიო ხალხში დევეტი ზღაპრულ გმირად გამხდარა და უკვდავების შარავანდედითაა მოსილი. გლეხებს ხომ არა სჯეროდათ პარნელლის სიკვდილი. იგინი ირწმუნებოდნენ, ჩვენი წინამძღოლი ცოცხალია, მხოლოდ თავს იფარავს და მაშინ გამოგვეცხადება, როცა მზად ვიქნებით, რომ ჩვენს მტერს (ე. ი. ინგლისს) მეხივით დავატყდეთ თავსა და შევმუსროთ იგიო. ეხლა, თურმე, ირლანდიელ გლეხებსა სჯერათ, რომ სწორედ დევეტია „დაუგვირგვინებელი მეფე ირლანდიისაო".

ნ. ა.

და მერე ინგლისს შეეკრა პირობით,—სომალილენდში „გიჟ მოლას“ შეერთებულის ძალით ვებრძოლოთო. ეს ორი ფაქტი ცხად ჰყოფს, თუ რამდენად უცვლია ნირი იტალიის საგარეო პოლიტიკას ამ უკანასკნელ წლის განმავლობაშიო. ყოვლად შეუძლებელი იყო ვისკონტი-ვენოსტის დროს ამ გვარი მოქმედება იტალიისაო. ეხლა-კი იტალია ყოველ ღონის-ძიებასა ხმარობს საზღვარ-გარეთაც შესაფერისი გავლენა მოიპოვოს. მართალია, იტალიის მთავრობას ვისკონტი-ვენოსტას დროს მუდამ ისა ჰქონდა თავში საცემად, რომ როგორმე შეემცირებია ბიუჯეტის დეფიციტებიო. ეხლა-კი ფინანსიური მდგომარეობა ნებას აძლევს განაძლიეროს თავისი საახალშენო პოლიტიკაო. წინად იტალია ვერც-კი გაჰბედავდა ისე თამამად ემოქმედა, როგორც ეხლაო. ვენესუელას იტალია სწორედ ისეთის თვალით უყურებს, როგორც ინგლისი და გერმანია, და მზადაა, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ჯარებიც მიაშველოს ზემოხსენებულ სახელმწიფოებსაო.

პრინეტის უკანასკნელ სიტყვას, რომელიც პალატაში წარმოსთქვა სავაჭრო ხელშეკრულობათა განახლების შესახებ, ყველანი თანაგრძობით მიეგებნენ. მინისტრმა განაცხადა,—თუმცა გერმანიამ ახალი საბაჟო ტარიფი დააწესა, მაგრამ მაინც ადვილად შეგვიძლია განვაახლოთ მასთან სავაჭრო ხელშეკრულობაო. იგი უკვე შემუშავებულია ორსავე მთავრობის მიერ, მხოლოდ ცოტაოდენი შესწორება სჭირდებაო; თითქმის იგეთივე პირობები იქნება ახალს ხელშეკრულობაში, როგორიც აქამდე იყოო. რაიცა შეეხება ავსტრია-უნგრეთის ხელ-შეკრულობას, ის-კი შესამჩნევად უნდა შეიცვალოს, რადგან ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში სულ სხვანაირად შეიცვალა იმ საქონლის წარმოების საქმე, რომელზედაც ავსტრია-უნგრეთს განზრახვა აქვს ბაჟი მიუმატოს განსაკუთრებით ჩვენს ღვინოებს და მით მფარველობა გაუწიოს შინაურს მეღვინეობასაო.

**ინგლისი.** ლიბერალთა გაზეთ „Daily News“-ის აზრით, ევროპის სახელმწიფოები მიტომ უფრო მიესიენ ვენესუელას პატარა სახელმწიფოს და ჰლამობენ მის განადგურებას, რომ ევროპა „ახალს ქვეყანას (ამერიკას) მტრობსო“.

ყოველ ექვს გარეშეაო—ამბობს გაზეთი—რომ ევროპის სახელმწიფოთა დღევანდელს მოქმედებას ის-კი არა აქვს აზრად, პატარა ვენესუელა შეჰმუსრონ, არამედ ისა, რომ შეერთებული შტატები შეაკრთონ; ფარული აზრი ევროპიელთა ისაა, რომ წინააღმდეგობა გამოუცხადონ შეერთებულ შტატებს მონროეს დოქტრინის გამო, რომლის წინააღმდეგაც კარგა ხანია ალიქურვა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მე-II და ყველა დიდ სახელმწიფოში გაიჩინა აგიტატორები ამ აზრითაო. ვილჰელმის შეხედულობით, გერმანიის საქციელი სრულიად სამართლიანია. ის სულით და გულით მოწადინებულია ხელიდგან არ გაუშვას ეს მარჯვე შემთხვევა, რადგან გერმანიის მკვიდრთა სიჭარბის გამო საჭიროა ახალი ადგილები შეიძინოს მათ დასასახლებლადაო. მაგრამ ინგლისს რაღა უნდოდა, რა საჭიროება ჰქონდა, რომ ამ საქმეში გაერიაო?

არც „Times“-ს მოსწონს, რომ ინგლისი გერმანია-ვენესუელას განხეთქილებაში ჩაერია.

**პორტუგალია.** ლისსაბონის გაზეთ „Imparcial“-ში მოთავსებულია მეთაური წერილი, ამ სათაურით: „უცხოელთა შემოსევა“, რომელშიაც ავტორი დიდად ჰკიცხავს მთავრობის თავაზიან პოლიტიკას, რადგან ამ გარემოებით საუცხოვოდ სარგებლობენ ინგლისი და გერმანია, „რომელნიც სისტემატიურად გვაცლიან ხელიდგან ჩვენს სამფლობელოს სამხრეთ-აფრიკაშიო“.

წერილის ავტორი დიდი წინააღმდეგია ანჰოლას რკინის გზის კონცესიისა, რომელიც პორტუგალიამ ინგლისელ რობერტს უილიამს გადასცა. კონცესიის ამღებს ნება მიეცა აგრეთვე შეიმუშაოს ანჰოლას მადნეულობა, უბაჟოდ შეჰზიდოს რკინის გზისათვის საჭირო მასალა და სხვა-და-სხვა მანქანები, რომელიც მადნების შესამუშავებლად იქნება საჭიროო. ასეთ უფლება-უპირატესობით აღჭურვა ინგლისელისა პორტუგალიის სამფლობელოში სწორედ იმას უდრის, რომ ანჰოლას ნამდვილ მმართველად რობერტს უილიამი გახდებაო. დასასრულ გაზეთი დასძენს,—ნუ დაივიწყებთ, რომ ანჰოლა სივრცით ორჯერ მეტია თვით პორტუგალიაზეო.

**შეერთებული შტატები.** როგორც ვუწყით, შეერთებულ შტატების მთავრობამ კასტროს მოწადინების გამო ნოტა გადასცა ინგლისსა და გერმანიას,—ვენესუელასთან მომხდარი უთანხმოება სამედიატორო სასამართლოს გარდაეცესო. შტატების მთავრობა იმედს აცხადებდა, რომ ინგლისი და გერმანია, თანახმა გაუხდებოდნენ ასეთ სამართალს.

გაზეთ „Standard“-ის კორესპონდენტს საუბარი ჰქონია შესახებ ვაშინგტონის მთავრობის ერთ-ერთ წევრთან.

ვაშინგტონის მთავრობამაო—უთქვამს მას—ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ ინგლისი და გერმანია სამედიატორო სამართალზე დაეყაბულებია. ამ ჟამად ჩვენ მეტს ვერას მოვახერხებთ. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია თავმდებად დავუდგეთ ვენესუელას და სავსებით უზრუნველ ვყოთ მისი ვალების გადახდა. მაგრამ, ჩვენის აზრით, სამედიატორო სასამართლოს გარდაწყვეტილება მაინც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ზემოხსენებულ სახელმწიფოთათვისაო. ინგლისს მაინც სამედიატორო სამართალი უხერხულ მდგომარეობიდგან დაიხსნიდაო. ჩვენ არა ვგონებთ, რომ ამ სახელმწიფომ იარაღის შემწეობით აინაზღაუროს თავისი ვალი. რაც მეტ გაჭირვებას მიაყენებენ ვენესუელას, იმდენად უფრო იმატებს მისი ვალები. თუ ინგლისის გემები მიადგა ვენესუელას ნავთსადგურებსა და ყუმბარა დაუშინა, ამ სახელმწიფოს შემოსავალი ერთი-ორად იკლებს, და, ცხადია, არავითარი საღსარი არ ექნება, რომ უცხო მოვალეები დააკმაყოფილოს. მართალია, ამ ჟამად ვენესუელას არ მოეძევება საკმაო თანხა, რომ ყველა მოვალენი გაისტუმროს, მაგრამ, თუ ადროვებენ ცოტას მაინც, შეუძლია შესაფერისი პირობები მისცეს და დააკმაყოფილოს ყველანი. ინგლისი მაინც ძალიან რიგიანად მოიქცეოდა, რომ სამედიატორო სამართალს დასთანხმებოდა, რადგან კარგად უწყის, რომ ეს სამართალი მის სასარგებლოდ გადასწყვეტდა საქმეს. ვაშინგტონის მთავრობას დიდად სასიამოვნოდ დაურჩა ლორდ ლანსდოუნის განცხადება,—ინგლისს არ განუზრახავს ჯარები გადასხას ვენესუელას ნაპირზეო.

**სერბია.** სერბიის გაზეთობა არ ეთანხმება რუსეთის მთავრობის მიერ მაკედონიის შესახებ გამოთქმულს აზრსა. სრულიად მეტი იყო ის გაფრთხილება, რომ მხარი არ დავუჭიროთ მაკედონიის რევოლიუციონურს მოძრაობასაო: სერბიას არაოდეს არ მიუღია რაიმე მონაწილეობა მაკედონიის მოძრაობაშიო.

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი

**„ცქრიალა“, დრამა 5 მოქ. მელიაკ და ჰალევისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა.**

ქ-ნმა ჩხეიძემ თავისს რეპერტუარიდგან რომ ჟენნის (ცქრიალა) როლი გამოსტოვოს, ძალიან კარგს იზამს, რადგანაც ეს როლი ამ მსახიობის ნიჭსა და ძალ-ღონეს სრულიად არ შეეწოება. პირველ ორს „მოქმედებაში ჟენნის სიცქრიალე, სიხარხარე, სილაღე, რომლიც ცხოველ-მყოფელ მუქსა ჭფენს ყველას, ვისაც-კი ჟენნისთან დამოკიდებულება აქვს,—სცენაზედ არსად სჩანდა; ამის მაგიერ ჩვენ ვხედავდით ჭასაკში მოსულს ქალს, რომლის გულუბრყვილობა, ცხოვრების გაუცდელობა მეტის-მეტად დარბაისლურის იერით იყო შემოსილი; ერთის სიტყვით, ჟენნის სულიერი შინაარსი ოდნავადაც არ შეესაბამებოდა იმ ფორმას, რომელიც შექმნა მსახიობ-ქალმა. ასე რომ,—ეს ორი მოქმედება სრულიად უნდა დავივიწყოთ, ვითომ არც-კი გვინახავს და გადავიდეთ პირდაპირ მესამე მოქმედებაზედ, როდესაც ჟენნი სიყმაწვილის ბურუსს იშორებს თავიდგან და ცხოვრება თვალწინ წარმოუდგება, ცოტა არ იყოს, მკაცრ ფერადებით აღბეჭდილი. სწორედ ამ მოქმედებიდგან იწყება ისეთი მდგომარეობა ჟენნისა, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, შეეფერება ქ-ნ ჩხეიძის ნიჭის ხასიათს, მაგრამ სათავეში დაწყებულმა სიყალბემ აქაც იჩინა თავი და მსახიობმა ვერ მოახერხა ბუნებრივი კილო აელო ჟენნის სულის-კვეთების გადმოსაცემად. ტანჯვის მაგიერ, რომელიც სახის მოძრაობასა და ხმაში უნდა გამოხატულიყო,—ჩვენ გვესმოდა სცენიდგან ტკებნით ლაპარაკი, ყალბცრემლ-ნარევი კილო და ვხედავდით ბრძოლას მარაოსთან. ის მოხერხებული მსახიობისათვის სცენა, როდესაც როკოტოვი (გუნია) ლიზას (კარგარეთელი) გათხოვებას ურჩევს,—ქ-ნმა ჩხეიძემ უმნიშვნელოდ ჩაატარა. ეს სცენა, თუმცა მიმიკურია, მაგრამ მრავალ-მეტყველი,—ვინც ისარგებლებს რასაკვირველია; სწორედ ამ დროს იღვიძებს ჟენნის არსებაში ერთსა და იმავე დროს დედა, ცოლი და ოჯახის დიასახლისი, რომელიც აქამდის, პეპელასავით უზრუნველად მონავარდე,—სხვას უთმობდა თავის როლს. ქ-ნი ჩხეიძე, ამ დროს გადაწოლილი „საფოზე“, მარაოს ებრძოდა და თუმცა ყურს აპყრობდა როკოტოვისა და ლიზას საუბარს, მაგრამ შთაბეჭდილება, ამ საუბრის მიერ გამოწვეული, სახეზედ არ ეხატებოდა. ასევე უფერულად გაიარა ლიზას და ჟენნის ლაპარაკმა, როდესაც ჟენნი ამხელს ლიზა—შენ ჩემი ქმარი გიყვარსო. საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ-ნი ჩხეიძე საკმაოდ ვერ დაჰკვირვებია ამ როლს და ბევრირამ კერძოობა, რაიც შეიქმს აუცილებელს მასალას მსახიობისათვის როლის სთანადოდ გადმოცემისათვის—მსახიობ ქალს არ გაუთვალისწინებია.

პიესა თავისთავად მეტის-მეტად მოსაწყენია, უმოძრაო, უმოქმედებო და, რადგანაც მსახიობთა თამაშობამ ცხოველი სული ვერ შთაბერა პიესას, ამიტომ საზოგადოება როგორღაც მოღრუბლული იყო.

ქ-ნის კარგარეთელის თამაშობაზედ ვერას ვიტყვით, რადგანაც ეს თამაშობა არსად სჩანდა. მხოლოდ რეჟისორის საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ოთხის მოქმედების განმავლობაში, როდესაც რამდენიმე წელიწადი გადის, მომქმედთა მდგომარეობაში ათასი ცვლილება ხდება—მარტო ქ-ნ კარგარეთელის ერთი-და-იგივე კაბა დარჩა უცვლელი, არც გაცვდა, არც გახუნდა და თანასწორის ერთგულებით ემსახურებოდა პატრონს ზამთარშიაც და ზაფხულშიაც...

ბ-ნი გუნია თითონვე გრძნობდა (იერზედ შევატყეთ), რომ ვერაფერი შვილია არისტოკრატ როკოტოვის ადგას და ია, სწორედ ამის განცდამ ფრთები შეაკვეცა მსახიობის აღმაფრენას იმ წამებშიაც-კი, როცა როკოტოვი ზნეობრივ ტანჯვაშია და როცა მსახიობს შეეძლო ეს ტანჯვა-გვება გამოეხატა, რადგანაც ამისათვის ძალა შესწევს.

აბა, რა-კი რეჟისორი ასე მოისუსტებდა, ქ-ნი გამყრელიძისა და ბ-ნი რომანიშვილი (კნეინა და კნიაზი) რაღა ხელთქვეითნი იქნებოდნენ, რომ პრინციპალისათვის ბანი არ აედევნებინათ?! აადევნეს კიდეც და ისე აადევნეს, რომ ყველაფერი დაჰფარეს.

ამ საერთო უფერულობაში ბ-ნნი შათირიშვილი და გედევანოვი, როგორც ყოველთვის, კარგები იყვნენ—პირველი ყმაწვილი—კაცის როლში, რომელიც მოქმედობს „დროსა და სივრცის გარეშე“, თუ ასე შეიძლება ითქვას და მეორე დროგადასულ ბალეტმაისტერის როლში, რომელმაც არ იცის, როგორ შეჰფერის მამას ლაპარაკი თავისს ქალთან.

ქ-ნ როსტომაისსა და სცენიურ ხელოვნების შორის საერთო არა არის-რა. გულ-წრფელად გურჩევთ, სხვა სფერა მოძებნოს სამოღვაწეოდ. არ იზარალებს.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

**ოპერა.** 18 დეკემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში, კვლავ განახლდა ოპერის წარმოდგენები. ამ წარმოდგენებს მართავს ოპერის არტისტთა ამხანაგობა. მონაწილეობას იღებენ, სხვათა-შორის, იტალიელნი მომღერალნი ტენორი სალტო და ბარიტონი პომაძონი. სალტო, ამ ექვს-შვიდი წლის წინედ, იყო ტფილისში და კარგი მომღერალის სახელიც მოიხვეჭა. ოთხშაბათის წარმოდგენაში (ბალ-მასკარადი) სალტომ გამოიჩინა ძლიერი და მოქნილი ხმა, სასიამოვნო ტემბრისა და მოხდენილი თამაშობა. ბარიტონს პომაძონის ძლიერი ხმა აქვს, ცოტა არ იყოს მოყუჩებული. მღერის, როგორც თითქმის ყოველი იტალიელი მეჭფერის, კარგის გემოვნებით, მაგრამ როგორღაც სულსა და გულს არ ჰხვდება მისი სიმღერა.

ქალებთა შორის მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის საზოგადოების ძველი ნაცნობი ქ-ნი ფერტიგი (დრამატიული სოპრანო) და ქ-ნი გამინსკისა (ლირიკული სოპრანო).

საზოგადოება წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** მობრძანდა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლითა და შვილებითურთ,

**ვენა.** სასახლეში სადილის შემდეგ გრაფ ლამზდორფის სადგურში მოხდა ბჭობა გოლუხოვსკისთან რუსის სტამბოლის საელჩოს მდივნის შჩერბინსკისა და აქაურ ელჩის კაპნისტის მონაწილეობით.

„ნევ-ფრეი პრესი“ იუწყება, აქაურს პოლიტიკურს წრეებში კმაყოფილნი არიან ლამზდორფის გოლუხოვსკისთან მოლაპარაკებითაო. მოელიან, რომ რუსეთი და ავსტრია მხნედ მოითხოვენ რეფორმების შემოღებას მაკედონიაში. მტკიცდება, ლამზდორფმა სოფიაში მთავრობასა და მაკედონელთ კომიტეტს ურჩია მოთმინება.

გოლუხოვსკისთან საუზმის შემდეგ ლამზდორფმა ინახულა იტალიისა და საფრანგეთის ელჩები და სადარბაზო ბარათი დაუტოვა ოსმალეთის ელჩს, რომელიც ავად არის. ოსმალეთის ელჩმა გამოუგზავნა სადარბაზო ბარათი მდივნის ხელით.

ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდისას გაიმართა სადილი პატივად ლამზდორფისა. დაესწრნენ მდივანი სავინსკი, კაპნისტი რუსის საელჩოს წევრებით, გოლუხოვსკი და კარის მოხელენი. სადილის შემდეგ ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდი დიდხანს საუბრობდა სტუმრებთან. ხვალ, საღამოს ცხრა საათზედ, ლამზდორფი მიემგზავრება.

თორმეტ საათზედ ლამზდორფი გაემგზავრა გოფბურგში და, ახალის წლის გამო, ობერ-გოფმეისტერის პირით იმპერატორს მიულოცა.

გრაფს ლამზდორფს ოტელში ბჭობა ჰქონდა გრაფებთან გოლუხოვსკისა და კაპნისტთან.

**სტამბოლი.** ზღვათა მინისტრმა ხელი მოაწერა პირობას გემთა ამშენებელ ანსალდოსთან 70,000 გირვანქა სტერლინგიან ორი ნაღმიანი ხომალდის აშენების შესახებ. ხომალდი გაივლის საათში 24 მილს. ვადა გაკეთებისა—1 წელიწადი.

20 დეკემბერი

**მადრიდი.** სილველას მოხსენებაში, რომელიც მეფეს წარუდგინა მაროკკოს შესახებ, ნათქვამია,—დიდ სახელმწიფოთა აზრით ესპანიას შეუძლია ამ საქმეში ჩაერიოსო. მთავრობა ისარგებლებს ამ მდგომარეობით, რათა მომავალში ესპანიის ინტერესები უზრუნველ ჰყოს მაროკკოში.

**პეკინი.** გარეშე უწყებამ განუცხადა ელჩთა, უსაფუძლო არაა ის ხმები, რომ ტუნფუსიანი საომრად ემზადება, მხოლოდ რამოდენადმე გადაჭარბებულიაო.

**ბერლინი.** იმპერატორმა მიიღო გენერალ შვარცკოპფენის კადეტთა კორპუსის დეპუტაცია.

**პარიჟი.** სადიპლომატო კორპუსის მიერ ახალ წლის მილოცვის გამო, ლუბემ მადლობა გადაუხადა პაპის დესპანს კეთილ გრძნობათა, განსაკუთრებით მარტინიკის უბედურობის გამო გამოცხადებულ თანაგრძნობისათვის. ეს კარგი წინამორბედია ახალის წლისა.

**ბერლინი.** იმპერატორმა სადარბაზო ბარათები დაუტოვა ელჩებს; დილით ელჩები მასთან იყვნენ მისალოცავად.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო დეპარტამენტმა, თანახმად ჩინეთის წინადადებისა, გადასწყვიტა მიიღოს მეორე ჯერი გადასახადისა ზარალის ასანაზღაურებლად.

**სტამბოლი.** ჰილმი-ფაშა, რომლის სამართლიანობა და ენერგია საზოგადოდ ყველას მოსწონს, ამას წინად უხეირო მოხელეთა სიაში ჩაეწერათ და ხონთქრისათვის წარედგინათ.

**მოსკოვი.** ხირუგთა შედეგი კონგრესი მოხდა პეტერბურგში 1904 წელს.

**პეტერბურგი.** ეფრემოვის მაზრის (ტულ. გ.) თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი გოლიცინი დაინიშნა კალუგის ვიცე-გუბერნატორად; ცენტრალურ სტატისტიკურის კომიტეტის რედაქტორი ტარასენკო—ოტრეშკოვი—ურალის ვიცე-გუბერნატორად,

ისლავინი დანიშნეს ვოლოგდის ვიცე-გუბერნატორი მურავიოვი—ყირიმის ვიცე-გუბერნატორად.

### პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97⅝ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 99½ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 94½ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 478 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 373 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 308¼ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | —<br>89 ½ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | 82½ წვ გაყ. |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, | 500 წვ. გაყ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 205 წვ. გაყ. |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) **პარასკეობით**, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—**დილის** 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

### სასამართლოს შესახები ცნობანი.

21 დეკემბერს 1902 წ. ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად:

1. დავა ვ. ასლანიძისა და ნარხაროვისა.
2. დავა ილ. სანამესი და გიორგი აივაზოვისა.
3. დავა ზაქარია გუგუნიშვილისა და ნესტორ ქვარიანისა.
4. დავა გაბესტურიასი და იბარიასი.
5. დავა ი. გაბუნიასი და სააკიანისა.
6. დავა ნესტორ ქვარიანისა და ხოლაფაშვილისა.
7. დავა ნესტორ ქვარიანისა და ხახანაშვილისა.
8. დავა თ. ლევან ანდრონიკაშვილისა და ზაქარია ანდრონიკაშვილისა.
9. დავა დ. სარაჯიშვილისა და ბაიახჩიანცისა.
10. დავა ა. კეკოლიასი და რ. ურიდიასი.
11. დავა ივანე კატაშვილისა და ტ. კოტაევისა.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—7)

ს. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნი მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, | | |
| ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა | 1 | „ |
| ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჭუდელისა | „ | 30 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა | „ | 50 |
| ბრძნული სიტყვები | „ | 10 |
| წმიდა აბო ტფილელი | „ | 30 |
| ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა | „ | 10 |
| ტფილისი, მ. ჯანაშვილისა | „ | 50 |
| თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი | „ | 50 |
| ნამყენი გაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა | „ | 5 |
| სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა | „ | 15 |
| კონსტანტინე ბა[illegible]ნიშვილი, თ. ხუსკივაძისა | „ | 5 |
| ზღაპრები სურათებით | 1 | „ |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.